პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 119 (18661) ოთხშაბათი, 25 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

## საქმემ გამოაჩინა

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის გიორგი კესერელის გამმართველთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა მაღალ შრომითს მაჩვენებლებს აღწევს. იგი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია.

* * *

სურათზე: გიორგი კესერელი.

ო. ბერეჩიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



# საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

24 მაისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი. პლენუმზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლებების მქონე პარტკომის მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების ხელმძღვანელები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარენი, უწყებათა, სახალხო მეურნეობის მსხვილ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მეცნიერების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა საკითხი: „საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებათა და დასკვნათა მიხედვით ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენების შემდგომი ამაღლების საქმეში“ (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გ. ვ. კოლბინის მოხსენება.).

მოხსენება დროულად დაეგზავნათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, სარევიზიო კომისიის წევრებს, რესპუბლიკის ყველა პარტიულ კომიტეტს წინასწარი გაცნობისათვის. იგი საქმიანად და ყოველმხრივ განიხილეს ექვსი საპრობლემო სექციის სხდომებზე, რომლებიც პლენუმის წინ მუშაობდნენ. პლენუმის მუშაობის ასეთი ფორმის მეოხებით შესაძლებელი გახდა თითქმის ყველა მსურველს მიეღო მონაწილეობა მოხსენების განხილვაში, უფრო სრულად გაეთვალისწინებინათ მათი აზრი, შეემუშავებინათ კონკრეტული რეკომენდაციები ეკონომიკის პრობლემებისადმი სისტემური მიდგომის საფუძველზე.

პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა გააკეთა ინფორმაცია საპრობლემო სექციებში მოხსენების განხილვის გამო გამოთქმული წინადადებებისა და სურვილების შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ე. სარალიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე უ. ა. ივანიაშვილი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გ. გვერდწითელი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუშინაძე, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. ბუაძე, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ზ. მირიანაშვილი, საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ზ. მაჟაშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. პ. ბაგაცელიძე, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ნ. ძსინტარისი, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ვ. ჯანჯღავა, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი დ. ი. კოტეტიშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ს. ხარბედია, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ს. აბზიანიძე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეორეული რესურსების გამოყენების განყოფილების უფროსი ა. ე. იურჩენკო, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი კ. ვ. კაპანაძე, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი ა. ო. მოსესიანი, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვ. მელაძე, მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ვ. ფლენტი, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ბ. მეუნარგია, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. შჩერბაკოვი, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი ნ. ბ. მაშაძე, საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამინისტროს საქართველოს საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ო. ი. კვიცარიძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ბ. ვ. ბედინაშვილი, „საქმთავარნერგოს“ უფროსი ი. ე. ჟორია, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლ. დ. მელიქაძე, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრი დ. ე. სარიშვილი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, მთელმა მისმა მიმდინარეობამ, ჩატარების ფორმამ, პრინციპულობამ, აქტიურობამ, ნაკლოვანებათა გულახდილმა კრიტიკამ და თვითკრიტიკამ ცხადყო, რომ თითოეული მისი მონაწილე ღრმად არის დაინტერესებული, რათა გადაწყდეს ნედლეული, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების ამოცანები, გაძლიერდეს პარტიული ჯავლენა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის მთელ მიმდინარეობაზე, მიღწეულ იქნეს მაღალი საბოლოო შედეგები.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. კ. შარტავა აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ნ. ნიკოლაევი.

(საქინფორმი).

## როგორი უნდა იყოს მეურნე?

ჩაის საკრეფი აპარატის 9 კილოგრამი წონის დეტალის თბილისის „საქსოფლმანქანის“ ქარხანაში 73,4 კილოგრამი მასის მქონე ნაბიდისაგან ამზადებენ. ხოლო ხელოვნური ბეწვის ცხრასანტიმეტრიანი ნაკუწი თბილისის სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკაში თურმე შეიძლება გადავაქციოთ ბავშვის ლამაზ, მოხდენილ და თბილ საშინაო ფეხსაცმლად.

ფოლადის დეტალი და საშინაო ფეხსაცმელი — ერთი გამოფენის ორი ექსპონატია. მხოლოდ ისინი სხვადასხვა განყოფილებაშია მოთავსებული: პირველ განყოფილებას ჰქვია: „ასე უგერგილოდ მუშაობა არ შეიძლება“, ხოლო მეორეს: „შემოსავალი ნარჩენებისაგან“. თვით გამოფენა საქართველოს სსრ სახმომარაგებამ მოაწყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეწყვეთა გამოფენის ახალ პავილიონში და ეწოდება „ნედლეულის, სათბობის, ენერგეტიკული და მატერიალური რესურსების დაზოგვა და რაციონალური გამოყენება საქართველოს სს რესპუბლიკაში“.

— ეს ექსპოზიცია შეეხება გერგილიან და უგერგილო მეურნეობებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მატერიალური რესურსების ეკონომიკისა და რაციონალური გამოყენების საუწყებათშორისო რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ, სახმომარაგების თავმჯდომარემ ა. ი. ბუაძემ. — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს ყოველი გრამი წნედლეულის, ყოველი კილოვატი ენერგიის დანიშნულებისამებრ გამოყენებას, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ სამრეწველო პროდუქციის მასალატევადობის სულ ერთი პროცენტით შემცირება რესპუბლიკის ეროვნულ შემოსავალს 110 მილიონი მანეთით გაზრდის. და აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელთა სურვილსა და უნარს, რაც შეიძლება ყაირათიანად იმუშაონ.

სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთი ხელმძღვანელი სათანადო გერგილიანობით არ მუშაობს, რატომ არის, რომ ფოთში ან, ვთქვათ, თბილისის საქარხნო რაიონში ტრადიციული ნარჩენებისაგან ამზადებენ ჩინებულ საკიდებს, ცომის საბრტყელებლებს, საპურებს და ფართო მოთხოვნის სხვა შემოსავლიან ნაწარმს, ხოლო ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის გაერთიანება ძირითადი საფონდო მასალებით ამზადებს „ქალის მაშებს“, რომლებსაც ზარისხის ინსპექცია აქვე აკრავს იარლიყს დეფექტების ნუსხით: „ბუშყიანი ზედაპირი, დეფორმირებულია ლენჩი, გარღვეულია გვირისტი“.

— ვაჩვენოთ ყველაფერი კარგი, რაც რესპუბლიკაში კეთდება მატერიალური რესურსების მომგირნეობის დარგში და ამასთან ერთად თვალნათლივ წარმოვადგინოთ უგერგილობის ნიმუშები, — ასეთია ექსპოზიციის მიზანი.

## ᲛᲔᲣᲜᲐᲠᲘ ᲥᲘᲕᲘᲡᲢᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეთით ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მაუნო კოივისტო საბჭოთა კავშირს ოფიციალურ ვიზიტად ეწვევა ამა წლის ივნისის პირველ ნახევარში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი აწყობს სამეცნიერო სესიას თემაზე

**Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲐᲒᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.**

სესია ჩატარდება 1983 წლის 26 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ხსდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ., 29). დასაწყისი დღის 4 საათზე.

## ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

### ულოცავენ აფრიკის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებსა და ხალხებს აფრიკის განთავისუფლების დღის გამო

**ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ** განთავისუფლების დღის გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მხურვალედ ულოცავენ აფრიკის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებსა და აფრიკის ქვეყნების ხალხებს.

ოცი წლის წინათ ადის-აბებაში აფრიკის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ გამოცხადებული აფრიკის განთავისუფლების დღე აფრიკელი ხალხის მრავალმილიონიანი ოჯახის დიდი დღესასწაულია. ისევე როგორც აფრიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ყველა ჭეშმარიტი მეგობარი, საბჭოთა ადამიანები ფართოდ აღნიშნავენ ამ ღირსსახსოვარ თარიღს.

ბოლო ათწლეულის მანძილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა დარტყმებით აფრიკის მიწა-წყალზე ზედიზედ ინგრეოდა კოლონიური რეჟიმები, მცირდებოდა რასიზმის ძალების ბატონობის სფერო. კოლონიური სისტემის ნანგრევებზე საფუძველი ეყრებოდა ახალ ცხოვრებას, მტკიცდებოდა აფრიკის განთავისუფლებული ქვეყნების ეროვნული სახელმწიფოებრიობა, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა.

აფრიკის ბევრმა სახელმწიფომ მიაღწია თავისი ტერიტორიიდან ყოფილი კოლონიური სახელმწიფოების ჯარების გაყვანას, იმპერიალისტთა სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას.

გარდაუვალად ახლოვდება ნამიბიის — კონტინენტზე კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავი უკანასკნელი ტერიტორიის განთავისუფლების ყამიც.

ნაყოფი მოაქვს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, ეროვნული ეკონომიკის შენმნის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საბაზო დარგების განვითარებისათვის აფრიკელი ხალხების მტკიცე ბრძოლას. თავისუფალ აფრიკას შეუძლია იამაყოს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და ხელოვნების დარგში თავისი მიღწევებით.

ეროვნული ცხოვრების ყველა დარგში აფრიკის ხალხების წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, მათ რომ არ დასჭირვებოდათ კოლონიური წარსულის მძიმე მემკვიდრეობასთან ერთად იმპერიალიზმის ძალების გაიფთრებული წინააღმდეგობის დაძლევა.

ფეხქვეშ თელავენ რა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ყველა ნორმას, ყველაზე უფრო აგრესიული იმპერიალისტური წრეები უეცრემხნოდ აცსადებენ კონტინენტის მთელ რაიონებს „თავიანთი საარსებო ინტერესების სფეროდ“, ავრცელებენ აფრიკის სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავიანთ მილიტარისტულ სტრუქტურას, ხოლო იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ, აძლიერებენ მუქარას, შანტაჟს, პირდაპირ სამხედრო ზეგავლენას. ნეოკოლონიზატორები ისწრაფვიან ახალი ბორკილები დაადონ აფრიკას და წაართვან მას მოპოვებული თავისუფლება, დაუმკვიდრონ თავიანთ მონოპოლიებს შესაძლებლობა კვლავაც მაქსიმალური მოგება მიიღონ აფრიკელი ხალხის ძარცვისა და ექსპლოატაციის გზით.

თავიანთი მიზნების მისაღწევად აფრიკის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრები ცდილობენ გთიშონ აფრიკელები, გაადვილონ შინაური შუღლი და კონფლიქტები, ძირი გამოუთხარონ, და თუ შეძლებენ, დაარღვიონ აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია — ანტიიმპერიალისტური, ანტიკოლონიური ბრძოლის ეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

აფრიკის კონტინენტზე საერთაშორისო იმპერიალიზმს სულ უფრო თავხედურად უჭერს მხარს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებების, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის, მეუმხრობლობის მოძრაობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების მოთხოვნათა საწინააღმდეგო აგრესიის აქტები აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, აპარტეიდის სამარცხვინო პრაქტიკა და საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნისთვის განუწყვეტელი მეცადინეობა — ასეთია დანაშაულებრივი საქმიანობის არასრული ნუსხა რეჟიმისა, რომელიც იმპერიალისტურმა წრეებმა „თავიანთ ისტორიულ“ მოკავშირედ გამოაცხადეს.

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და მტკიცედ უჭერს მხარს კონტინენტის ხალხებს კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ მათს ბრძოლაში. მთელი აფრიკა თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს, როგორც ამას მოითხოვს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე მისი წარმატებით განვითარების ინტერესები.

საბჭოთა ხალხი მხარს უჭერდა და კვლავაც მხარს უჭერს ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის პატრიოტების ბრძოლას, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციისა და აფრიკის ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობით იცავენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის თავიანთ შეუვალ უფლებას.

ახლა, როცა ყველაზე უფრო აგრესიული იმპერიალისტური ძალების მოქმედებამ სერიოზულად გაართულა საერთაშორისო ვითარება, გაადლიერა ბირთვული ომის საფრთხე, არ არის იმაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე მშვიდობის უზრუნველყოფა, გამალებული შეიარაღების, უფრინველ ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეჩერება. ლენინური მშვიდობის სტრატეგიის ერთგული საბჭოთა კავშირი ძალ-ღონეს არ იშურებს ამ მაღალი ჰუმანური მიზნის მისაღწევად.

იმითი ისტორიული მოვალეობა, ვისაც ხალხები, მათ შორის აფრიკის ხალხები ანდობენ თავიანთ ბედს, ის არის, რომ მთელი თავისი ძალები მოახმარონ ბირთვული კატასტროფისათვის დაუძლეველი დაბრკოლების შექმნას.

გულწრფელად ვუსურვებთ აფრიკის სახელმწიფოებსა და ხალხებს ახალ წარმატებებს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

## ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

### ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

**ᲑᲝᲚᲝ** წლებში სასახელოდ შრომობს ლუდისა და ხილის წყლების კომბინატის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ზედიზედ მეოცედ გაიმარჯვა დარგში საკავშირო მასშტაბით.

რით აღწევს კოლექტივი ამ წარმატებას? უპირველესად შრომის დიდი ნაყოფიერებით, მინდობილი საქმის შესრულებისადმი კოლექტივის თითოეული წევრის პასუხისმგებლობის ამაღლებით, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებით.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების შრომითს ვახტზე რომ დადგა, კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ 4 თვეში პროდუქციის წარმოების დავალება 103,4 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა — 128,3 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით დამზადდა 36 ათასი მანეთის პროდუქცია.

(ხაკ. კორ.).

### ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ

**ᲐᲮᲐᲚᲘ** შრომითი წარმატებებით ხვდება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი (დირექტორი გ. წაქაძე). მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა საკავშირო ქვანახშირის ამოღების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების პირველი კვარტალის დავალებანი. ტონა ქვანახშირის ღირებულების შემცირებით დაზოგა 43.344 მანეთი.

ამ დღეებში შახტაზე სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: შახტებს შორის გაშლილ საკავშირო შეჯიბრებაში ლენინელებს მიეკუთვნათ მესამე ადგილი და ფულადი პრემია — 5276 მანეთი.

ჯილდოს პასუხად შახტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა კიდევ უფრო უკეთ იმუშაოს და ახალი გამარჯვებით შეხვდეს დიდ რუს ხალხთან დამეგობრებ ი ს საიუბილეო თარიღს, ვადამდე შეასრულოს წლიური სახელმწიფო დავალება.

(ხაკ. კორ.).

### ᲮᲐᲨᲣᲠᲘ

**ᲡᲐᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲝ** დეპოს კოლექტივში ფართოდ აღნიშნავენ ღირსსახსოვარ თარიღს — კომუნისტური შრომის მოძრაობის 25 წლისთავს.

განახლდა ხაშურის რკინიგზის საწარმოები. ძველი ელმავლები ახალმა, მძლავრმა ლოკომოტივებმა შეცვალა, ორთქლმავლების ნაცვლად ახლა სამანევრო სამუშაოებს თბომავლები ასრულებენ, ლოკომოტივების პერიოდული შეკეთების სამქროში განხორციელებულმა სარეკონსტრუქციო სამუშაოებმა ერთიანად გაზარდა ელმავლების სარემონტო სამუშაოთა ნაყოფიერება. ამ ხნის მანძილზე რკინიგზელთა შრომის პირობების გაუმჯობესებასთან ერთად განუზრელად მაღლდებოდა მათი საყოფაცხოვრებო პირობების დონეც. დეპოს ტერიტორიაზე აშენდა მუშათა სასადილო, საშხაპეები, რკინიგზელთა დასვენების ოთახები. ათობით მშრომელმა ახალმოსახლეობა იზეიმა ან გაიუმჯობესა საბინაო პირობები.

(ხაკ. კორ.).

## ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲯᲘᲚᲓᲝ

**სსრ** კავშირის მშენებლობის სამინისტროს კოლეგიამ და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით დარგის მონაწილეთა ორგანიზაციებს შორის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნო ლენინის ორდენოსანი ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ № 1 ტრესტი და იგი გარდამავალ წითელი დროშით დააჯილდოვა.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე ეს რუსთაველთა მეშვიდე ჯილდოა, რომელიც მან მოიპოვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ტრესტის კოლექტივი უკვე მრავალი წელია მოწინავეთა რიგებშია რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს სისტემაში. რუსთაველმა მშენებლებმა მიმდინარე წელიც კარგად დაიწყეს. მათ საექსპლატაციოდ გადასაცეს შავი მეტალურგიის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობა — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალი საგაზომრაციო ფაბრიკა, წარმატებით აწარმოებენ რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, გაერთიანება „აზოტის“ რეკონსტრუქციას. (საქინფორმი).

## ᲣᲜᲐᲠᲩᲔᲜᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

**რთულ პრობლემას — საკუთარი ხანედლეულო ბაზისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარედან მერქნის შემოზიდვის შემცირების პირობებში გაზარდონ პროდუქციის წარმოება—წარმატებით წყვეტენ საქართველოს სსრ ხეტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროში.**

— ჩვენ ძირითადი ყურადღება დავუთმეთ ნარჩენების მაქსიმალურ გამოყენებას, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში დარგის მინისტრმა თ. ი. უჩანეიშვილმა. — ყოველწლიურად ჩვენი დარგის ხე-ტყის ახარის საწარმოებში მუშავდება 200 ათას კუბურ მეტრამდე მრგვალი ხეტყე. აქედან 160 ათასი კუბური მეტრი ქვეყნის სხვა რეგიონებიდან შემოგვაქვს. ნედლეულის გადამუშავების პროცესში წარმოიშობა 65 ათას კუბურ მეტრზე მეტი მერქნის ნარჩენი. ამ ბოლო დრომდე ნარჩენების მხოლოდ 15 პროცენტს ვიყენებდით, დანარჩენს ეწვავდით ან ვყრიდით.

ახლა მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. საკმარისია ითქვას, რომ შარშან შევძელით უკვე გამოგვეყენებინა 57 ათასი კუბური მეტრი ნარჩენები. ისინი ხმარდება მერქნის ბუბუშელის ფილების, ავეჯის სხვადასხვა დეტალის, პარკეტის ფრიზის, სახალხო მოხმარების საკონლის დამზადებას. შარშან ნახევარ მილიონ მანეთისაზე მეტი ასეთი ნაწარმი გამოვუშვით.

**— უნარჩენო წარმოება კომპლექსური საქმეა. როგორ არის იგი ორგანიზებული დარგში?**

— უნარჩენო ტექნოლოგია ჩვენში თავისებური ჯაჭვი არის აგებული. მისი პირველი რგოლია ნარჩენების სრული უტილიზაცია ტყესაკაფ უბნებზე. მაგალითად, ბორჯომისა და გალის რაიონების მთელ რიგ ხე-ტყის დამამზადებელ უბნებებში უკვე შექმნილია და მოქმედებენ მობილური ბრიგადები. ისინი აღჭურვილია მოძრავი საჭრეხი მანქანებით, უშუალოდ ადგილზე ტექნოლოგიური ნაფოტად ამუშავებენ ხე-ტყის ნარჩენებს, შედეგად იგი იგზავნება მერქნის ბუბუშელის ფილების წარმოებისათვის. ამან საშუალება მოგვცა შარშან ნარჩენებისაგან, იგივეთვე დაბალხარისხოვანი თხმელის მერქნისაგან გამოგვემუშავებინა 20 ათას კუბურ მეტრამდე ტექნოლოგიური ნაფოტი და ამავე დროს უარი გვეთქვა ქვეყნის დაშორებული რეგიონებიდან ამდენივე ეკრეთ წოდებული ტექნოლოგიური შეშის შემოზიდვაზე. მომავალი წლიდან განზრახული გვაქვს საერთოდ შევწყვეტოთ ამ სახეობის ნედლეულის შემოზიდვა.

მეორე რგოლია მერქნის ბუბუშელის ფილების გამოსაშვები ტექნოლოგიური ნაფოტის წარმოების სრულყოფა. მარტო ხეტყის დახერხვისა და ხის დამუშავების ნარჩენებისაგან შარშან მერქნის ბუბუშელის ფილების წარმოებისათვის გამოვემუშავეთ 8 ათას კუბურ მეტრზე მეტი ტექნოლოგიური ნაფოტი. წელს საკუთარი მერქნის ნარჩენებისა და დაბალხარისხოვანი მერქნისაგან დაგეგმილი გვაქვს მივიღოთ უკვე 30 ათასი კუბური მეტრი მოცულობის ტექნოლოგიური ნაფოტი.

**— პატივცემული თენგიზ, არის თუ არა შექმნილი სპეციალური ცენტრები, სადაც თავმოყრილია მერქნის ნარჩენების გადამუშავება?**

— სანაფოტე მერქნის ნარჩენების გადამუშავების ბაზები შექმნილი გვაქვს სამტრედიის ხის დამამუშავებელ კომბინატში, თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მცხეთის ფილიალში, ახმეტისა და ბაბუშერის ხის დამამუშავებელ კომბინატებში. ასეთივე ბაზა მომდინარე წელს შეიქმნება ქუთაისში.

უნარჩენო წარმოების უმნიშვნელოვანესი რგოლია დარგის საწარმოებში ახალი ტექნიკის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მაგალითად, სამინისტროში შევიმუშავეთ კონსტრუქცია და მის საფუძველზე უკვე შეიქმნა და სამრეწველო პირობებში მოქმედებს სპეციალური საღარაგ-საძელაკე აგრეგატები, რომლებიც გათვალისწინებულია ომისათვის, რომ დაბალხარისხოვანი თხმელის მერქნისაგან გამოვემუშაოთ ნამზადები პარკეტის საწარმოებლად. ამავე დროს აგრეგატები გვაძლევენ ტექნოლოგიურ ნაფოტსაც. შექმნილია მანქანები — ჯერჯერობით ქვეყანაში ერთადერთი, რომელსაც შეუძლიათ დაამუშაონ 8 სანტიმეტრამდე დიამეტრის მოკლე კუნძები.

საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ მერქნის ბუბუშელის ფილის რაციონალური გამოპრის, ავეჯის საფარე დეტალების ოპტიმალური შეპირაპირების გზით მივაღწიეთ იმას, რომ დაახლოებით 4-5 პროცენტით შემცირდა ავეჯის პროდუქციის წარმოებაში მერქნის ხარჯვის ნორმა.

უნარჩენო წარმოების გაფართოების დამატებით შესაძლებლობად მიგვაჩნია აგრეთვე ისეთი ნარჩენების გადამუშავება, როგორიც არის ნახერხი, მერქნის მტვერი და ბუბუშელა. ყოველივე ამას ამ ბოლო დრომდე იყენებდნენ სათბობად ან ყრიდნენ. და თუმცა მთელი მერქნის გამოყენების დონემ ახლა 81 პროცენტს მიაღწია, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა დავაჩქაროთ.

**— როგორ არის დარგში მოგვარებული ნარჩენებისაგან მახობრივი მოთხოვნის ნაწარმის გამოშვების გადიდებისათვის მუშაობა?**

— ახლა ვამუშავებთ თითოეულ საწარმოში მაქსიმალურად მოკლე დროში წარმოების ნარჩენებისაგან ფართო მოხმარების საქონლის გამომშვები სპეციალური უბნების გაფართოების ღონისძიებებს. სამინისტრომ გაითვალისწინა, რომ ამ ბოლო დროს გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნა სხვადასხვა ნაკეთობისათვის საჭირო მასალებზე. ამის გამო სამინისტროში მუშავდება პროგრამა სავაჭრო ორგანიზაციებში ნარჩენებისა და არაკონდიციური მასალების მიწოდების შესახებ.

განვაგრძობთ მუშაობას სპეციალურად შემუშავებული უნარჩენო წარმოების დანერგვის კომპლექსური სქემის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მისი მიზანია დარგის ყველა რგოლში გაიშალოს აქტიური ბრძოლა მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის. ამ მუშაობაში არსებითს დახმარებას გვიწევენ ქვეყნის მოხალისეებ საწარმოები. ღირსშესანიშნავი იუბილეს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წინ ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას საკავშირო გაერთიანება „ეკტრაგეჯთან“ შრომითი თანამეგობრობის შესახებ. ხელშეკრულების შესაბამისად ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს უფრო აქტიურად ითანამშრომლოს სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით და, კერძოდ, უნარჩენო წარმოების შემდგომი დანერგვის საქმეში. ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია საქართველოს ხე-ტყისა და ხის

24 მაისი
# უკანასკნელი
ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

## პარტიელი ცხოვრება: პირველადი ორგანიზაციის კვტორიტეტი

**ფუალტუბოს** ხონის სოფელ ცხუნკურის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ზურაბ ტყაბლაძეს კოლმეურნეობის კანტორაში სწორედ მაშინ შევხვდით, როდესაც იგი მორიგი პარტიული კრებისათვის მოხსენებას ამზადებდა. საკითხი ისევ და ისევ დისციპლინას, ორგანიზებულობას, მინდობილი საქმის შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას ეხება. ეს საკითხი ახალი როდია, მაგრამ იგი ახლებურად, უფრო მწვავედ და პრინციპულად წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა. ამჟამად სოფლად გაცხოველებული მუშაობაა და ბუნებრივია, დისციპლინა და ორგანიზებულობა სწორედ ამ კამპანიის მაღალ დონეზე მოწყობისთვის არის საჭირო.

— წლეულს, — გვეუბნება პარტიული კომიტეტის მდივანი, — განსაკუთრებით მაღალორგანიზებულად ჩავატარეთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. მისთვის მზადების საკითხს მიეძღვნა პარტიული კომიტეტის სხდომა იანვარში, ახლა კი როცა განვიხილავთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის დღემდე გაწეულ მუშაობას, ამით სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ჩვენი პარტიული კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილების შესრულებასაც შევამოწმებთ. შესრულების შემოწმება კი, მოგეხსენებათ, პარტიული მუშაობის ქვაკუთხედია.

# სადაც პარტიული ზეგავლენა არ იგრძნობა

ჩვენ დავინტერესდით იმ საკითხებით, რომლებზეც პარტიული კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ამახვილებენ ყურადღებას. აი ზოგიერთი მათგანი: შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის პირველი და შესამე ბრიგადების პარტიული ორგანიზაციების მუშაობა; მეცხოველეობის ფერმაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა; სასურსათო პროგრამის განხორციელებაში კომუნისტების ამოცანები. ერთი სიტყვით, პარტიული კომიტეტის სხდომასა და პარტიული ორგანიზაციის კრებებზე საკითხები ისეა დაყენებული და განხილული, თითქმის სრულად მოიცავს საზოგადოებრივი მეურნეობის საქმიანობას, უპირველესად უზრუნველყოფს სამეურნეო მუშაობისადმი პარტიული ზეგავლენის გაძლიერებას. ამ პარტორგანიზაციაში საკითხებს ამზადებენ საგანგებოდ გამოყოფილი კომუნისტთა ჯგუფები და უპარტიო აქტივისტები, კოლექტიურად დგება და ისახება ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციას, განისაზღვრება — ვინ და როდის უნდა მოაგვაროს ესა თუ ის საკითხი.

პარტიული კომიტეტისა და კოლმეურნეობის გამგეობის ერთობლივი ღონისძიებით საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის, აბაშელთა მაგალითისამებრ ყურადღება გამახვილდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაზრდისათვის კოოპერირებაზე. მაგალითად, აქ შარშან პრაქტიკაში დაინერგა ჯგუფური და ინდივიდუალური კოოპერირება. კომუნისტ გურამ სვანძიესა და დიმიტრი ვარდანაძეს კოლექტიურ კოოპერირებაში გაპიროვნებული ჰყავთ 40-40 სული ღორი. 171 მეურნედან, რომელთაც ინდივიდუალურად გაპირუნებული ჰყავთ 107 ღორი და 64 მსხვილფეხა საქონელი, 50 კომუნისტია. მარტო კომუნისტებმა, მათ შორის ს. კეთილაძემ, ა. სულაბერიძემ, დ. ტყაბლაძემ, ი. ტყაბლაძემ და სხვებმა, შარშან სახელმწიფოს 850 ტონა ხორცი მიჰყიდეს.

საინტერესოა ისიც, რომ კოლმეურნეობამ შარშან 267 ათასი მანეთი მოგება მიიღო, კაცდღეზე 12 მანეთი გასცეს.

არა მარტო სამეურნეო, საზოგადოებრივ საქმეშიც გამოირჩევიან კომუნისტები გიორგი და გრიგოლ ჩირგაძეები, ალიმ და რუსუდან ჯიმშელეიშვილები, ზაირა ქორიძე და სხვები. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია 94 წევრსა და სამ კანდიდატს აერთიანებს. ისინი განაწილებულნი არიან ხუთ საბრიგადო პარტიულ ორგანიზაციასა და 3 პარტიულ ჯგუფში.

რასაკვირველია, იმას არ ვამტკიცებთ, თითქოს ამ კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაცია უხაოლოდ მუშაობდეს, მაგრამ ფაქტი ერთია: პარტიული კომიტეტის მონდომება და პასუხისმგებლობა, სამეურნეო საქმიანობაზე პარტიული ზეგავლენის დონე, მოწონებას იმსახურებს.

წყალტუბოს ხონის მრავალდარგოვანი საზოგადოებრივი მეურნეობები, მათი პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტიც, რომ შარშანდელი შედეგების მიხედვით მათ დამსახურებულად მოიპოვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. წელსაც აქაური მშრომელები მონდომებით ირჯებიან, უფრო ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რასაც წინ უძღოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და თესლის სანიმუშოდ მომზადება.

წლეულს, ხუთწლეულის უკანგულ წელს, წარმოებულია მეტი რძე და ხფრცის პროდუქტები, ვიდრე შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდში. სულ უფრო და უფრო მტკიცდება სახელმწიფო და შრომის დისციპლინა. მაგრამ ის, რაც კეთდება, ჯერ კიდევ საკმარისი როდია. ზოგიერთ სოფელში დამაკმაყოფილებელი არ არის პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დონე. ეს უპირველესად ითქმის სოფლების ოფშკვითის, ფარცხანაყანევისა და მაღლაკის საბჭოთა მეურნეობების პარტიული კომიტეტების შესახებ მიუხედავად იმისა, რომ აქ განთავისუფლებული მდივნები მუშაობენ.

სოფელ ოფშკვითის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ კომიტეტს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტი შურმან ფიქრიძე ხელმძღვანელობს. ამ მეურნეობას კარგი ტრადიციები აქვს. ეს სოფელი ერთ-ერთი სანაქებო და მისაბაძი იყო სხვა რეგიონებისათვის. საწელო და ტრადიციას შენარჩუნება სჭირდება, უკვე მოპოვებულს — განმტკიცება, მაგრამ... მარტო თუ ნდაც ის ფაქტი, რომ მეურნეობას შარშან გეგმით 68.283 მანეთი მოგება უნდა მიეღო და მხოლოდ 2.395 მანეთ მოგებას მიაღწია, ისიც დიდის გაჭირვებით, მრავლისმეტყველია.

ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რა როლს ასრულებს პარტიული ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლებისათვის ბრძოლაში. იგი კუდში მისჩანჩალებს მოვლენებს, ღრმად არ სწვდება პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხების არსს, არ იჩენს ინიციატივას სოფლად არსებული სერიოზული პრობლემების გადაწყვეტაში.

მიგმართოთ ფაქტებს, ჯერ თუნდაც პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურის შესახებ: ამ ორიოდე წლის წინათ მეურნეობაში გააუქმეს უბნები, მათ ნაცვლად ახლა ფუნქციონირებს საწარმოო ბრიგადები, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციაში ამის შესაბამისად ცვლილებები არ მომხდარა — იყო და დარჩა წინათ შექმნილი ორი საუბნო პარტორგანიზაცია. როგორც აქ თქვეს, ბრიგადების პარტიული ორგანიზაციები არ შეიქმნა იმიტომ, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტიდან ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა პარტიული კომიტეტის მდივანმა მ. წიქორიძემ. შორს წაგვიყვანდა აქტის მიხედვით გადმოვლენილ ნაკლოვანებათა და სერიოზულ დარღვევათა ჩამოთვლა. პარტიული კომიტეტის წევრმა მ. განცელაძემ კრებაზე განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 1981 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა მეურნეობის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა, გამოვლინდა მატერიალურ ფასეულობათა დატაცებისა და საფინანსო საქმიანობის დარღვევების ფაქტები, დაისაჯა რამდენიმე ხელმძღვანელი მუშაკი, მაგრამ დანაშაულობანი და დარღვევები კვლავ გრძელდება. მეურნეობაში დამაკმაყოფილებელი არ არის საგეგმო-ეკონომიკური მუშაობა, ხელფასი ირიცხება და გაიცემა ხოლმე ისეთ პროდუქციაზე, რომელიც შემოსავალში არ არის გატარებული. ბუღალტრები და საწყობის გამგეები მუშობენ უკონტროლოდ, თვითნებურად.

რევიზიის აქტი პარტიულმა კომიტეტმა განიხილა. ის ფაქტი კი აუხსნელია, თუ რატომ არ იმსჯელეს დროულად ამის შესახებ აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობამ, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, პარტიის საქალაქო კომიტეტმა. აღძრული საქმის გამოძიება კი დაუშვებლად გაჭიანურდა ქალაქის პროკურატურაში. პარტიული კომიტეტის სხდომაზე სხვადასხვა პარტიული სასჯელი გამოუცხადეს კომუნისტებს — მოლარე ნ. კვერნაძეს, მთავარ ბუღალტერს ა. ლიონაძეს, ბუღალტერს ვ. ნემსიწვერიძეს, საწყობის გამგეს ნ. გერსამიას, მთავარ ეკონომისტს ს. დეისაძესა და სხვებს, და ამით ამოიწურა საქმე.

უკეთესი სურათი არც სოფელ მაღლაკის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ კომიტეტში (მდივანი — ო. ჭოლაძე) დაგვხვდა. მეურნეობა ისევ და ისევ ზარალიანია. შარშან, მაგალითად, 242 ათასი მანეთი ზარალი მიიღო. აქ ყოველდღე საშუალოდ სამუშაოზე გამოდის 14,2 კაცი, 158 ჰექტარ სოიას ფართობზე მოსავლის ამღები ვერა და ვერ გამოჩნდა. უსაშველოდ დიდია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, ისევე, როგორც კომენტარს არ საჭიროებს აპარატის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის გივი ლალიაშვილის სიტყვები — ჩვენ ბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებს საერთოდ არ ვიწვევთ და როდესაც ვიწვევთ, მაშინაც ოქმებს არ ვაფორმებთო.

ორიოდე სიტყვა აგროსამრეწველო გაერთიანების პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაზე: პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებს, სამწუხაროდ, აქ ერთხელაც არ შეუხედავთ, მით უფრო, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებათა სახით ახალ საქმეს მოჰკიდეს ხელი რესპუბლიკაში და უპირველესი დახმარება სწორედ გაერთიანებათა პარტიულ ორგანიზაციებს ესაჭიროებათ.

გაერთიანების პარტიული ორგანიზაცია, მისი ბიუროო (მდივანი — ინჟინერ-მექანიზატორი ი. ჯოგლაძე), რომელიც 36 კომუნისტს აერთიანებს, ვერ ერკვევა უფლება-მოვალეობებში. ბიუროს სხდომებსა და კრებებზე განსახილველად აყენებენ ისეთ საკითხებს, რომლებიც გაერთიანების სამეურნეო ხელმძღვანელობის კომპეტენციაში შედის, აქ ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებენ დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც საკმარისია. პარტბიუროს 1982 წლის 23 ნოემბრის სხდომაზე განსახილველად გამოიტანეს საკითხი შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ითქვა, რომ „შრომის დისციპლინის განმტკიცება ჩვენი ყოველდღიური აუცილებელი ცენტრშია, მოწყობილ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, მოწესრიგდა შრომის ორგანიზაცია“ და ასე შემდეგ, უსასრულოდ, ზოგადი, არაფრისმთქმელი მსჯელობა. მაშინ, როდესაც კონკრეტულ ნაკლოვანებათა მოსაძებნად შორს წასვლა არ არის საჭირო. ამაზე თუნდაც აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ბრძანებები მეტყველებს, რომ ცალკეული მუშაკები, მათ შორის კომუნისტები, მაგალითად, იურიდიული ჯგუფის იურისკონსულტი ბადრი აბუთიძე უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სამსახურებრივ მოვალეობას, რის გამოც ისინი ადმინისტრაციულადაც დასჯეს. პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კი ამის შესახებ არაფერი უთქვამთ.

დასკვნა ერთია: მკვეთრად უნდა ამაღლდეს სოფლად ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, ყველან უნდა იგრძნობდეს პარტიული ზეგავლენა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ხოლო ამისათვის რა არის საჭირო, კარგად იცან, ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდნენ როგორც ადგილებზე პარტიულ ორგანიზაციათა თავკაცებმა, ისე პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა. ოღონდ ეგ არის, ხელის გამოღება, მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო.

**დ. გედენიძე,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

# ერთიანობის ოცი გაზაფხული

## 25 მაისი აფრიკის განთავისუფლების დღეა

**დღეს** მეოცეჯერ აღინიშნება აფრიკის განთავისუფლების დღე. ზუსტად ოცი წლის წინათ კონტინენტის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ლიდერები ისტორიაში პირველად შეიკრიბნენ ერთად ადის-აბებაში და შექმნეს აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია; ამავე დროს მიიწონეს ამ ორგანიზაციის ქარტია, რომელშიც ორგანიზაციის ძირითად მიზნებად გამოცხადებული იყო ბრძოლა მშვიდობისა და აფრიკის ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, მათი სოლიდარობის განმტკიცებისა და მიუმხრობლობის პოლიტიკის განხორციელებისათვის, კონტინენტზე ყოველგვარი კოლონიალიზმის მოსპობისათვის. ქარტია მოუწოდებდა აგრეთვე აფრიკის სახელმწიფოებს განვითარებინათ ერთმანეთს შორის ყოველმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობა, დაეცვათ მათი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, უარი ეთქვათ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევაზე.

იმჟამად ეთიოპიის დედაქალაქში ქარტიას აფრიკის 31 სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მოაწერეს ხელი. დღეს კონტინენტზე 50 დამოუკიდებელი ქვეყანაა. აფრიკაში მონური დამოკიდებულებისაგან 450 მილიონზე მეტი კაცი განთავისუფლდა, კოლონიური სამფლობელოების მოსპობა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა აფრიკის პოლიტიკური რუკა.

უცხოელთა ჩაგვრის ბორკილებს თავი რომ დააღწია, უზარმაზარმა კონტინენტმა მძლავრად გაშალა მხრები, მთელი ხმით ალაპარაკდა.

განვლილ 20 წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად, აფრიკის ხალხთა თავისთავადი კულტურისა და ზელოვნების ასაყვავებლად, საერთაშორისო ასპარეზზე აფრიკის სახელმწიფოთა ავტორიტეტის ასამაღლებლად. კონტინენტის ბევრ ქვეყანაში შენდება სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული საზოგადოება, იქმნება პირობები სოციალიზმის მშენებლობაზე გადასასვლელად.

ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი წილი შეჰქონდა აფრიკის გარდაქმნაში. სსრ კავშირის ინიციატივით გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღეს დეკლარაცია აფრიკის სახელმწიფოებს განვითარებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. მის უდიდეს მნიშვნელობას კონტინენტის ბედისათვის დღეს ყველა აღიარებს.

„აფრიკის ხალხები დიდად აფასებენ სსრ კავშირის პრინციპულ პოზიციას კონტინენტის მთლიანად განთავისუფლების საკითხში. მის ქმედითს სოლიდარობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ნამიბიის პატრიოტებისადმი, — განაცხადა ამას წინათ, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ედემ კოჯომ, — ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მტკიცე და თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომელსაც იგი ადგას თანამედროვეობის მთავარი პრობლემის — მშვიდობის შენარჩუნების პრობლემის გადასაწყვეტად. გამალებულ შეიარაღებაზე დიდძალი თანხები იხარჯება, რომლებიც აუცილებელია კაცობრიობის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. ამიტომ აფრიკა მთლიანად უჭერს მხარს სსრ კავშირის ძალისხმევას, რომლის მიზანია საყოველთაო და სრული განიარაღება“.

სსრ კავშირი ესწრაფვის სოციალიზმის მსოფლიო სისტემასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის თანამშრომლობის განმტკიცებას. მოსკოვმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს სურს იხილოს აფრიკა ისეთი, როგორიც თვით აფრიკელებს წარმოუდგენიათ — მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, აყვავებული.

ითვალისწინებს რა აფრიკის ხალხებისათვის სურსათის პრობლემის სიმწვავეს, სსრ კავშირი მონაწილეობს კონტინენტზე 100-მდე სასოფლო-სამეურნეო ობიექტის მშენებლობაში, აგრეთვე წარმატებით თანამშრომლობს ბევრ ქვეყანასთან საზღვაო თევზჭერის განვითარების დარგში, დიდ დახმარებას უწევს აფრიკის ქვეყნებს მრეწველობის შექმნაში.

### ფოტოინფორმაცია

### დიდი ინტერესი

**ბაკუ. ქვეყნის დედაქალაქის აკრის საბჭოთა წიგნის მაღაზიაში ყოველთვის მრავალად არიან მკითხველები. „განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებზე, საბჭოთა პერიოდულ გამოცემებზე, რუსი და საბჭოთა მწერლების, მათ შორის ლ. ტოლსტოის, თ. დოსტოევსკის, ა. პუშკინის, ა. ჩეხოვის, ა. ტოლსტოის, მ. შოლოხოვის, ი. ბონდარევის ნაწარმოებებზე. ჩვენს ნორჩ მკითხველებს უყვართ სამაგვარ წიგნები და მოზარდებისათვის განკუთვნილი ლიტერატურა დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ადამიანების მამაცობის შესახებ, ზღაპრები, — ამბობს მაღაზიის დირექტორი ფრენსის მენუ.**

**სურათზე: ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების სტენდთან.**

**საკლესიის ფოტო.**

# ზილოეანის გადაცემა

**დამსახურებული** მელიორატორის, ინჟინრის, სოფლის მეურნეობის მუშაკის, მშენებლის, გეოლოგის, აგრონომის წოდებანი მიენიჭათ „კოლხეთმშენის“ ტრესტის მუშაკებს, რომელმაც ახლახან აღნიშნა თავისი ნახევარი საუკუნის იუბილე.

ეს ნუსხა თავისებურად ცხადყოფს გარდაქმნათა მასშტაბს, რომელმაც ჭაობისა და მალარიის მხარე ინტენსიური სოფლის მეურნეობისა და საკურორტო მშენებლობის ზონად აქცია.

მომავალი ორი ათწლეულის მანძილზე ტრესტის მუშაკებმა თითქმის იმდენივე უნდა გააკეთონ, რამდენიც გაკეთდა წინა წლების მანძილზე. ამჟამად კოლხეთში დააშრეს დაახლოებით 90 ათასი ჰექტარი მიწა, 50 ათას ჰექტარ რეკონსტრუირებულ ფართობზე მეურნეობას მოჰყავს ჩაი, ციტრუსები. ყოველი ტონა პროდუქცია, რომელიც სასურსათო პროგრამის განხორციელებაში შეაქვს ამ რეგიონს, მრავალი სპეციალისტის შრომის ნაყოფია, თავიანთ ენერგიას კოლხეთის დაშრობას რომ ახმარენ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გიმართა „კოლხეთმშენის“ ტრესტის მუშაკთა დიდი ჯგუფისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელების გადაცემა. დაჯილდოებულებმა, რომლებიც გამოვიდნენ კოლხეთმშენებლების სახელით, პირობა დადეს, რომ მათი შრომის მაღალი შეფასება და ტრესტისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა ახალი სტიმული გახდება კოლხეთის დაბლობის შემდგომი გარდაქმნის გეგმების განხორციელებისათვის.

სიგელები გადასცა და გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

(საქინფორმი).

## ორგიტაზეა ორი თანამგზავრი

**საბჭოთა** კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1463“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

**1983 წლის** 24 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1464“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა, რომელიც გათვალისწინებულია კოსმოსური სივრცის კვლევისათვის, ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

## მოლაპარაკება ჟენევაში

**აქ** გაიმართა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

## ● ავშ

# აღვირახსნილი მილიტარიზმი

**ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების „შეიარაღებული ძალების დღის“ მოწყობა ამერიკის მთავრობამ გამოიყენა აღვირახსნილი მილიტარიზმისათვის ხოტბის შესხმის, უნიფორმიანი ძალისა და შეიარაღების გამალებული ზრდის ხაბაზად.**

როცა ქვეყანას რადიოთი მიმართა პრეზიდენტმა რ. რეიგანმა განაცხადა, რომ კვლავაც აპირებს „პოზიციის ძალიან მშვიდობის“ პოლიტიკის განხორციელებას. „ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ძალის გამოსაყენებლად, და ამასთან წარმატებითაც უნდა გამოვიყენოთ იგი“, — თვითმმართველი პირდაპირობით განაცხადა თეთრი სახლის პატრონმა. ამისათვის, როგორც მან თქვა, საჭიროა „მნიშვნელოვანი ბირთვული პოტენციალი“, კერძოდ, ახალი მრავალშუხტიანი საკონტინენტთაშორისო „მეჭს“ ბალისტიკური რაკეტებისა და „მინიტმენის“ ტიპის სტრატეგიული რაკეტების შექმნისა და განლაგების მათ მიერ გამოცხადებული პროგრამის უსწრაფესი რეალიზაცია.

ამავე „იდეებს“ ყოველმხრივ ადიდებდა პენტაგონის შეფი უაინბერგერიც, რომელიც გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მორიგი დამტყმელი ბირთვული წყალქვეშა ნავის წყალში ჩაშვების ცერემონიაზე ნორფოლკში (ვირჯინიის შტატი). მხარი აუბა რა თავის პატრონს, მან ისიც კი თქვა, თითქოს ომის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ ყოველთვის მზად ექნები მის დასაწყებად. ამასთან, ისე როგორც რეიგანმა, ამერიკის შეერთებული შტატების იმ სამხედრო ხარჯების უპრეცედენტო დონის გასამართლებლად, რომლებმაც მარტო უახლოეს ხუთ წელიწადში 2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და კიდევ ერთხელ მოიშველია გაცვეთილი „ინსინუაცია „აღმოსავლეთიდან მოსული საფრთხის“ შესახებ.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრმა ჯ. ლემანმა განაცხადა სან-ფრანცისკოში, ხელისუფლების სათავეში რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლამ სამხედრო-საზღვაო ძალებისადმი დამოკიდებულება „მკვეთრად შეცვალა უკეთესობისაკენ“. ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალები, თქვა მან, სწრაფად ვითარდება. 1989 წლისათვის წყალზედა საბრძოლო ხომალდების რიცხვი 600 ერთეულამდე გაიზრდება. მარტო შარშან წყალში ჩაუშვეს 25 ახალი ხომალდი და კიდევ 110 ხომალდი წარმოებაშია. გაზეთმა „სან-ფრანცისკო ქრონიკლმა“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების დაჩქარებული „მოდერნიზაცია“, რომელსაც ახორციელებს პენტაგონი, მიზნად ისახავს სსრ კავშირთან შედარებით ბირთვული სამხედრო-საზღვაო უპირატესობის მიღწევას.

## კულტურის ქრონიკა

# ქართული კინოს წარმატება

**ბელგრადი. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოს დღეები გაიმართა ბელგრადში, ლუბლიანასა და ზაგრებში. მაყურებლებმა ნახეს ცნობილი ფილმები „იმერეთი“, „ნახვამდის, მეგობარო“ და სხვა.**

იუგოსლავიის ტელევიზიამ გაითვალისწინა დემონსტრირებული ფილმების დიდი პოპულარობა და გადაწყვიტა მოკლე ხანში მოაწყოს ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოს საღამო. ტელემაყურებლები ნახავენ არა მარტო მათთვის უკვე საყვარელ ფილმებს, არამედ შეხვდებიან კიდეც ქართველ კინორეჟისორებსა და მსახიობებს, რომლებიც გაუზიარებენ თავიანთ შემოქმედებითს გეგმებს.

## ● ლიბანი

# წინააღმდეგობა ძლიერდება

**ბეირუთი. ლიბანელმა პატრიოტებმა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია განახორციელეს ისრაელი ოკუპანტებისა და მათი დამჭაშვების — ჰადადის სეპარატისტთა წინააღმდეგ.** 22 მაისს მათ ცეცხლი დაუშინეს ისრაელთა და ჰადადელთა საკომანდო პუნქტებს სამხრეთ ლიბანის ოკუპირებულ ქალაქ ნაბათიაში.

პატრიზანული მოძრაობის ზრდა დამპყრობთა გაშმაგებას იწვევს. ინტერვენციონისტები ჯარების ქვეგანაყოფებმა ალუა შემოარტყეს ლიბანის სოფელ კამედ ელ-ლოზს, სადაც მოაწყვეს მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება და დაკითხვა. ბევრი მცხოვრები დაპატიმრეს. წინა დღეებში მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება მოეწყო ოკუპირებული სამხრეთ ლიბანის სხვა დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებში.

კვლავ დაძაბული ვითარებაა ბეკაას ველზე. ოკუპანტებმა გაიყვანეს გზა, რომელიც ალ-კასერის მაღლობები დაუკავშირა მათი ჯარების ბაკასა და მდფუბის მაღლობებზე განლაგებულ პოზიციებს. ჩრდილოეთის აინ-არაბის რაიონში ისრაელის სარდლობამ გაგზავნა სატანკო ქვეგანაყოფები. ოკუპანტთა საინჟინრო ჯარებმა დანაღმეს დასახლებულ პუნქტებს ბაკასა და იანტის მორის მდებარე ყველა გზა.

## ● ნიკარაგუა

# დაქირავებული მარცხდებიან

**მანაგუა. დიდი კონტრრევოლუციური დაჯგუფება შეეცადა სამხრეთ ნიკარაგუის რიო-სან-ხუანის დეპარტამენტში ხელთ ეგდო დახახლებული პუნქტი ლასახუნენი. როგორც დეპარტამენტის სახაზღვრო ჯარების სარდალმა კაპიტანმა ბოსკო სენტენომ განაცხადა, 22 მაისს 120 ბანდიტი შეეგრო ამ რაიონში კოსტა-რიკის ტერიტორიიდან იმ აზრით, რომ იერიშით მიეტანა სოფელზე.**

მაგრამ მათ ცეცხლი დაუშინეს სანდინისტური სახალხო არმიის მებრძოლებმა. ექვს საათზე მეტხანს გრძელდებოდა ბრძოლა სომოსელ დაქირავებულებთან, რომელებსაც რამდენიმე კაცი დაუხოცეს და უკან დაიხიეს, ამასთან მიატოვეს დიდძალი ამერიკული ავტომატები, გრანატმტყორცნები და სხვა იარაღი. შეტაკების დროს მოკლეს ბანდის წინამძღოლი.

როგორც აქ განაცხადა ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას ბორხმა, სანდინისტური სახალხო არმიის ნაწილებთან ბრძოლებში კონტრრევოლუციური დაქირავებულნი მარცხდებიან როგორც რესპუბლიკის ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის სასაზღვრო რაიონებში.

ჩრდილოეთის ხინოტეგის დეპარტამენტში შეჭრილი კონტრრევოლუციური დაჯგუფება პრაქტიკულად მთლიანად განადგურებულია, ბანდიტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი კიდევ ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას. არსებული ცნობების თანახმად, ამ დაჯგუფების წინამძღოლებმა დახმარება სთხოვეს ჰონდურასის სამხედრო სარდლობას.

თ. ბორხე იუწყება, რომ დიდი ბრძოლები მოხდა უკანასკნელ დღეებში ნუევა-სეგოვიის დეპარტამენტშიც. იქ მყოფი სომოსელების მდგომარეობა კრიტიკულია. ნიკარაგველი ხალხი, თქვა მინისტრმა, მზად არის მოიგერიოს სანდინისტური რევოლუციის მტრების ყოველგვარი თავდასხმა.

**ნიუ-იორკი.** რეიგანის ადმინისტრაციას, რომელიც სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უდიდებს სომოსელთა კონტრრევოლუციურ ბანდებს, იმედი აქვს, რომ მათი დახმარებით დაამხობს ნიკარაგუის ანონიერ მთავრობას და ქვეყანაში აღადგენს რეაქციულ პროამერიკულ რეჟიმს. ეს კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით დაადასტურა დაზუურულმა მოსმენამ, რომელიც გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატისა და წარმომადგენელთა პალატის სადაზვერვო კომისიებში.

## არქეოლოგია

# აღმოაჩინეს XV საუკუნის გემი

**რომი.** იტალიელმა არქეოლოგებმა, რომლებიც წყალქვეშა სამუშაოებს ახორციელებენ ნეაპოლის მახლობლად, სანტერესო ნაპავნი აღმოაჩინეს. ნაპირთან ახლოს ხუთ მეტრ სიღრმეზე მათ მიაკვლიეს ძველი ხომალდის კორპუსს. სპეციალისტთა აზრით, გემი XV საუკუნეშია აგებული.

რამდენიმე დღით ადრე აკვალანგისტებმა ამ რაიონში იპოვეს სპილენძის ლუსმნები და ქვემეხები. მეცნიერებს მაშინვე დაებადათ აზრი, რომ იქ შეიძლებოდა ძველი ხომალდის ნამსხვრევებიც ყოფილიყო. გულმოდგინე ყურადღებაში ძიება წარმატებით დაგვირგვინდა. ახლა არქეოლოგები ემზადებიან ხომალდის წყლიდან ამოსაღებად, რომლის დიდი ნაწილი შლამშია ჩაფლული.

## ბუნების საკუთრებანი

# იშვიათი ნაპოვნი

**ტოკიო.** მსოფლიოში უდიდესი ნიკარა აღმოაჩინეს იაპონის იუფუს კუნძულის მებადურებმა. ნიკარის სიგრძე 1,1 მეტრს აღწევს და 292 კილოგრამს იწონის. როგორც ადგილობრივი სპეციალისტები ამტკიცებენ, იგი 22 კილოგრამამდე აღემატება ნიკარის უდიდეს ნიმუშებს, რომლებიც კი ოდესმე ბიოლოგებს აღუწერიათ. იშვიათი ნაპავნი, იუწყება გაზეთი „დეილი იომიური“, იუფუს კუნძულის ტროპიკულ მცენარეთა ნაკრძალში დადეს.

## შემთხვევა

# საბედისწერო ჭექა-ქუხილი

**ვენა.** ხეს,

## გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

# ბურჯი ეროვნებისა...

**ჩვენი** კაცი იმას ვერასოდეს წარმოიდგენს, შეეიდეს წიგნის მაღაზიაში და თავისუფლად იყიდოს „ვეფხისტყაოსანი“. ეს არ ყოფილა და არც იქნება.

აბა, სხვაგან სად არის „სამზითვო“ წიგნი. ერთმა რუსმა მეგობარმა სამზითვო „ვეფხისტყაოსანს“ — „წიგნთთაყვანისცემა“ უწოდა.

ჭეშმარიტად!

ამას წინათ რედაქციაში წერილი მივიღეთ. ტაისა იტიშინა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვიდან გვწერდა:

„...ვლადივოსტოკიდან მოვფრინავდი, ვიღაც რუსულის მცოდნე ინგლისელის გვერდით აღმოვჩნდი, „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდი. ინგლისელი მომბრუნდა და მკითხა — რას კითხულობთო. „ვეფხისტყაოსანს“-მეთქი. ახსნა-განმარტება არ დასჭირვებია, მაგრამ სახეზე ისეთი ინტერესი გამოეხატა, უხერხულად მივიჩნიე წიგნის კითხვა გამეგრძელებინა და „ვეფხისტყაოსანი“ გავუწოდე. ერთი კი შემომხედა მაღლიერი თვალით, მერე ჩარგო თავი წიგნში და მორჩა, აღარ აუწევია. მომეჩიდა, უფრო სწორად, გამიხარდა და ვაჩუქე. ერთი გვნახათ მანაც როგორ გიახარა. მე ეს ჩემს ვალად ჩავთვალე — როგორც რუსმა და თქვენს ვალად როგორც ქართველმა“.

...კულტურული ქვეყანა ვართ, დიდი წარსულითა და დიდი მომავლით. აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა.

